მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
იარი
№5 (428)
(5777)
2017

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 69-ე წელი თბილისში

2 მაისს თბილისში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 69-ე და საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავი.

საზეიმო საღამოზე დიდძალი სტუმარი შეიკრიბა. ჯანსულ კახიძის დიდებულ მუსიკალურ ცენტრში თავი მოიყარეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პარლამენტარებმა, თბილისის ებრაული თემის წევრებმა, სასულიერო პირებმა, კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა სცენაზე მიიწვია საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც წარმოსთქვა მისალოცი სიტყვა (ბ-ნი პრემიერ მინისტრის მისალოცი სიტყვის ტექსტი იბეჭდება მომდევნო გვერდზე).

სიტყვას ამბობს ისრაელის ელჩი შ. ცური. შესრულდა ისრაელისა და საქართველოს ჰიმნები. საინტერესო გახლდათ საიუბილეო საღამოს საკონცერტო ნაწილი.

თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ ვახტანგ კახიძის დირიჟორობით შეასრულა: ი. პალპერინის და იუნგელის ებრაული „იავნანა“ - „ნუმი-ნუმი“, რომელსაც ჩინებულად ასრულებს ნეკა სებისკვერაძე, ფ. მენდელსონის „საქორწინო მარში“, ჟ. ბიზეს „ფარანდულა“, ჯ. ვერდის ებრაული მონების გუნდი „ნაბუქოდან“, ნაწყვეტი ჯ. გერშვინის სიმფონიური სურათიდან „პორგი და ბესი“, ჯ. უილიამსის თემა კინოფილმიდან „შინდლერის სია“, ლ. ბერნსტაინის „მამბო“ მუზიკლიდან „უესტ საიდის ისტორია“, ჟ. ოფენბახის „კან-კანი“, ნაომი შემერის „ოქროს იერუსალიმი“ შეასრულეს ნეკა სებისკვერაძემ და ისრაელიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ცნობილმა მომღერალმა მორის ჯანაშვილმა - ისრაელის ქართული არხის გენერალურმა დირექტორმა. ისრაელის საელჩომ საელჩოს მუშაობაში ხელშეწყობისათვის დიპლომებით დააჯილდოვა საქართველოს, როგორც ქართველი, ისე ებრაელი მოქალაქეები.

ისრაელ-საქართველოს მეგობრულ, პარტნიორულ, ქართულ ებრაულ ისტორიულ ურთიერთობაზე ისაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

ისრაელში მცხოვრები ქართულ ენოვანი მაუურებლისათვის მთელი საღამოს მიმდინარეობა გადაიცემოდა ისრაელის ქართული „ჩვენი არხის“ საშუალებით.

(თემის გაგრძელება →)

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

ისრაელის პრემიერ მინისტრის, ბატონი ბენიამინ ნეთანიაჰუს მილოცვის წერილი

ძვირფასო მეგობრებო,

ჩემთვის დიდი პატივია, მოგესალმოთ იერუსალიმიდან ისრაელის საელჩოს მიღებაზე, რომელიც ისრაელის 69–ე დამოუკიდებლობის დღისა და ისრაელი–საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25–ე იუბილეებს ეძღვნება.

როდესაც ვუყურებ, რას მიაღწია ისრაელმა 7 ათწლეულზე ნაკლებ დროში, გული სიამაყით მევსება. ჰოლოკოსტის კოშმარით დამფრთხალი, დაუცველი და დევნილი ხალხიდან მძლავრ, თავისუფალ და თანამედროვე დემოკრატიად ჩამოყალიბება კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. დღესდღეობით ისრაელს კუთვნილი ადგილი აქვს დამკვიდრებული გლობალურ არენაზე როგორც ინოვაციების, წარმოებისა და ტექნოლოგიების განვითარების ლიდერს. ისრაელის წვლილი კაცობრიობის წინაშე ჩვენს მოცულობას ბევრად აღემატება.

ისრაელის ყველაზე დიდი სასწაული ისაა, რომ ყოველივე ამას მივაღწიეთ მტრების განმეორებითი მცდელობების მიუხედავად, გაეცამტვერებინათ ებრაული სახელმწიფო. ისრაელს არასოდეს მიუტოვებია მშვიდობისა და მეზობლების შემორიგების იმედი და ჩვენ, როგორც არასდროს, ამ საბოლოო მიზნის ერთგულნი ვრჩებით.

წლეულს ასევე აღინიშნება ისრაელს და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილე. ებრაელ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა ის ფუნდამენტია, რაზეც ავაშენეთ და განვავითარეთ პარტნიორობა ორ ქვეყანას შორის ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. ქართველი ებრაელების მრავალრიცხოვანმა თემმა ისრაელში სხვა ელფერი შემატა ჩვენს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობებს. ისრაელი საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ვაჭრობა, კულტურა, განათლება, ტურიზმი და უსაფრთხოება. ჩემი მთავრობა ქართველ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის ერთგული რჩება.

თითოეულ თქვენგანს შთაბეჭდილებებით სავსე და დაუვიწყარ დამოუკიდებლობის დღეს გისურვებთ.

პატივისცემით,

ბენიამინ ნეთანიაჰუ

პრემიერმა ებრაელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა

სიამოვნებით მინდა ვთქვა, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ორ ერს შორის ძმობა იყო განსაკუთრებულ პარტნიორობაში გადაზრდილი, რომელიც დღითი-დღე ღრმავდება და სტრატეგიულ ხასიათს იძენს. წელს ჩვენ ვიზეიმებთ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25-ე წლისთავს. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ურყევი პოზიცია, რომელიც ისრაელის მთავრობას გააჩნია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მთელი ამ წლების განმავლობაში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ეფუძნება საერთო პრინციპებსა და ღირებულებებს და დინამიურად ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბოლო წლების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობა საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უსაფრთხოების, ჯანდაცვის სამინისტროებს შორის. გვაქვს თანამშრომლობის შესანიშნავი გამოცდილება კულტურისა და განათლების სფეროში. ამ თანამშრომლობას საუკუნეების ტრადიცია აქვს. 2014 წლის ოქტომბერში დასრულდა დავიდ ბააზოვის ქართველთა და ებრაელთა ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაციის პროცესი. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მასშტაბით აღდგენილია 7 სინაგოგა და ამ უდიდეს საქმეში ფასდაუდებელია ფონდი ქართუს და პირადად ბიძინა ივანიშვილის წვლილი.

ხსოვნის მემორიალი



იერუსალიმში, თეოდორ ჰერცლის გორაზე გაიხსნა ისრაელის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, ტერორისტულ აქტებსა და სპეცოპერაციებში დაღუპულთა ხსოვნის დიდი მემორიალი. მემორიალის სიმაღლე 18 მეტრია სიგრძე 260 მეტრი და შესდგება 23 ათასზე მეტი ქვის პლიტისაგან. ყოველ პლიტაზე ამოკვეთილია დაღუპულის სახელი, გვარი და დაღუპვის თარიღი. კომპიუტერული სისტემის მეოხებით ყოველ პლიტაზე მიმაგრებულია დაღუპულის სულის მოსახენიებელი სანთელი, რომელიც ავტომატურად ინთება ყოველი ამათგანის გარდაცვალების დღეს.მემორიალურ კომპლექსში დადგმულ ეკრანებზე შესაძლებელია ყოველი დაღუპულის ფოტოს ნახვა და დაწვრილებითი ინფორმაციის გაცნობა.

მემორიალი უკვდავყოფს მამულისათვის ყოველი დაღუპულის სახელს, მოყოლებული აჰარონ გერშლერიდან, რომელიც 1873 წელს არაბებმა მოჰკლეს. ყოველი სახელი და გვარი დაწერილია ერთი შრიფტით, მიუხედავად იმისა, დაღუპული თუ რა რანგისა იყო. მემორიალის შესასვლთან მუდამ ენთება მარადი-ხსოვნის ცეცხლი, რომელიც გახსნის დღეს პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ აანთო, ხოლო სამხედრო რაბინი ყოველ დილით დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ლოცვას აღავლენს — წაიკითხავს კადიშს.

მემორიალი ორ წელიწადში შეიქმნა და 99 მილიონი შეკელი (დაახლოებით 25 მილიონი დოლარი) დაჯდა.

ჯონი ადამსი (1735-1826) აშშ პრეზიდენტი 1797-1801 წლებში, ფედერალისტი, ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობის ომის მონაწილე:



მე ძლიერ მწადია, რომ ებრაელი ხალხი იუდეას დაუბრუნდეს, როგორც დამოუკიდებელი ერი, ვინათგან მტკიცედ მჯერა: როგორც კი ებრაელები თავიანთი სახელმწიფოს მართვის საკითხში დამოუკიდებლობას აღიდგენენ - მონობისაგან განთავისუფლდებიან, ხასიათის იმ ზოგიერთ უსიამოვნო თვისებასაც ჩამოიშორებენ, რომელიც მონობაში სდევთ თან. მე ვამტკიცებ, რომ ჩვენს სამეაროში ებრაელებმა კაცობრიობისათვის უფრო მეტი გააკეთეს, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ერმა. ათეისტიც რომ ვიყო და ბრმა ბედისწერისა მჯერდეს, მაინც ვირწმუნებდი, რომ მან - ბედისწერამ მოიწადინა სწორედ ებრაელობა ყოფილიყო ღვთის რჩეული ერი, რათა შემოენახათ და კაცობრიობისათვის გადაეცათ სამეაროს წარმმართველი უმაღლესი გონის ძლიერი, ბრძნული იდეა - რაც გახლავთ მორალის საფუძველთა საფუძველი და შედეგი ცივილიზაციისა. ებრაელობა ყველაზე მშვენიერი ერია მათს შორის, რომელიც კი ოდესმე სახლობდა დედამიწაზე. ებრაელებთან შედარებით რომაელები და მათი იმპერია, საპნის ბუშტი გახლდათ. კაცობრიობის სამ მეოთხედს რელიგია სწორედ ებრაელებმა მისცეს - ისტორიის განვითარებაზე უფრო მეტი და უკეთესი ზეგავლენა მოახდინეს, ვიდრე სხვა ნებისმიერმა ერმა - იქნება ეს უძველესი, თუ თანამედროვე ერი.

„გორის ებრაელობა მეორე მსოფლიო ომში“

ჯამაათისთვის ცნობილია ბატონი აჰარონ ჯანაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობა, თუმცა ჩვენი დღევანდელი თემატიკა სხვა კუთხით წარმოგიდგენთ მას.

ძირითადი სამსახურის გარდა, არნო ჯანაშვილი აქტურად ეწევა გამომცემლობით და კინემატოგრაფიულ საქმიანობას. ახლახანს გამოქვეყნდა მისი წიგნი ბავშვებისთვის სახელწოდებით „ჩემი საყვარელი წიგნი“; საკუთარი ინიციატივით და ფინანსებით გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ გორელ ებრაელებზე, რომელმაც იერუშალაიმში, ჰოლოკოსტის მუზეუმის („იად ვა შემ“ - „ხსოვნა და სახელი“) „ოქროს ბიბლიოთეკაში“ დაიდო ბინა.

ჩვენი შემოქმედებითი გაერთიანება დავუკავშირდით ბატონ აჰარონს და ვთხოვეთ ორიოდ სიტყვა ეთქვა წიგნისა და ფილმის შესახებ:

— სიდური ბავშვებისათვის ქართულ ენაზე — ნახატებით, ისტორიებით და საინტერესო ფაქტებით – მეტად საჭირო წიგნია, რომელსაც კარგა ხანია ელოდა საქართველოს ებრაელობა. წიგნის მიზანია ბავშვებში გააღვიძოს მშობლიური ხალხის, მისი ტრადიციების სიყვარული, — სიყვარული თორისა. ამ ბოლო ხანებში არაერთი გამოცემა ვიხილეთ ქართულ ენაზე, მაგრამ ყველა ეს უფროსებისათვის იყო განკუთვნილი. საბავშვო წიგნებს, მოგეხსენებათ, თავისი სპეციფიკა გააჩნია, განსაკუთრებით ისეთებს, როგორიც სიდურია. საერთოდ, სიდურის, ხუმაშის, მიშნის თარგმანები ბავშვებისთვის უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს – უნდა შეგეძლოს ბავშვური ფაქიზი სულის შეგრძნება და, ალბათ, გულში ბავშვადაც უნდა გრძნობდე თავს. წიგნი, ლოცვების გარდა, მოიცავს ებრაული ცხოვრების წესებს და ებრაელი გმირების ისტორიებს. „გზამკვლევად“ დანიშნული მყავს ბიჭუნა, რომელიც ჩემი ვაჟის პროტოტიპად შევქმენი და მასაც იაკობი დავარქვი. მახარებს, რომ წიგნი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისის ებრაულ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, საპატიო ადგილი დაიმკვიდრა პატარების საყვარელ წიგნებს შორის და ყველაზე სათუთი და საყვარელი არსებების მეგობარი გავხდი. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს – სარა (მანანა) ხუხაშვილს და შვილებს მხარში დგომისთვის, რომელიც მათ ამ ნაშრომის შექმნის დროს გამიწიეს; მამას - იაკობს და დედას - იოხებედ ჯანაშვილებს ოჯახური არქივიდან მასალების მოძიებისთვის და მორალური მხარდაჭერისთვის. ხაზგასმითაა აღსანიშნავი ბენიამინ ფიჩხაძის გულისხმიერება გამოცემის დაფინანსებისთვის და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო, რათა ნაშრომს დღის შუქი ეხილა. ჰაშემი მიეხმაროთ მათ ყოველ სასიკეთო საქმეში.

ფილმის შექმნის იდეა გორის სინაგოგაში დაიბადა. ერთხელ, ლოცვებს შორის შესვენებაზე, რამდენიმე მოხუცი პატივცემული ადამიანი იხსენებდა ისტორიებს, რომლებიც ომში ყოფნისას გადახდათ. სიამოვნებით ვუსმენდი და მენანებოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი ამბები მხოლოდ რამდენიმე ადამიანს გვესმოდა. იმაზე კარგი რა იქნებოდა, რომ ეს ყველაფერი სამუდამოდ აღბეჭდილიყო და მომავალ თაობებს შემონახვოდა... ჰაშემის დახმარებით, მალევე შევუდექი ამ იდეის ხორცშესხმას ჩემს მეგობრებთან — მიხეილ ტარასკინთან და დიმიტრი გოგიაშვილთან ერთად. სცენარის ავტორი თავად გახლავართ, თუმცა, კონსულტაციებს საკმაოდ გამოცდილი ისტორიკოსები და კინემატოგრაფები გვიწევდნენ. დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ ელდერ მამისთვალიშვილს, ჩემს მეუღლეს და მშობლებს, ფილმის პერსონაჟების ნათესავებს და ყველას, ვინც ჩვენი იდეა მოიწონა და აიტაცა. ფილმში განხილულია გორის მოკლე ისტორია დაარსებიდან ისრაელების ჩამოსახლების — ებრაელების დასახლების დღემდე, ხოლო ძირითადი თემაა საუბარი ყველა იმ პიროვნებაზე, რომლებიც ომში იმყოფებოდნენ. დოკუმენტურ მასალებთან ერთად მოყვანილია მონაწილეების ცოცხალი ჩანაწერები. ფილმს, რომელსაც ჰქვია „პატარა ქალაქის მზის ქვეშ“ ლაიტმოტივად გასდევს ქართულ-ებრაული მეგობრული ურთიერთობის უღალატო, სამაგალითო ფენომენი, — რომ დღესაც ერთად ცხოვრობენ პატარა ქალაქის ცისქვეშეთში ქართველები და ებრაელები, რომლებსაც არ ავიწყდებათ ერთმანეთისთვის უშურველად გაღებული სიკეთე...

P.S. ფილმი მოკლემეტრაჟიანია – 35 წუთიანი ფორმატის, ქართულ და რუსულ ენებზე. ფილმის დემოვერსია შეგიძლიათ იხილოთ youtube.com

გაზეთი „დავითის ფარი“

მიხეილ მირილაშვილი მიიჩნევს, რომ ეს საქმე, უზენაესმა უწილადა

რუსეთსა და ისრაელში ცნობილმა ბიზნესმენმა მიხეილ მირილაშვილმა ინტერვიუ მისცა ეკონომიკის სფეროს გამოცემას Globes-ს და უამბო იმაზე ამჟამად თუ რას ახმარს თავის დროსა და ფინანსებს. ეს გახლავთ კომპანია WaterGen-ი,რომელიც წყლისსამრეწველო გენერატორებს აწარმოებს — ეს გენერატორები ჰაერიდან წყალს აწარმოებენ. ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ იგი შემთხვევით არ მოხვედრილა ამ კომპანიაში — უზენაესმა უწილადა, „ამიტომ ამ საქმეს ვეკიდები დიდი პასუხისმგებლობით. ამ ტექნოლოგიის წყალობით კაცობრიობას ძალუძს მაქსიმალურად ეფექტურად მიიღოს სასმელი წყალი. და მას მინერალური წყლის თვისებები ექნება, ჩვენ, მართლაც შეგვიძლია ვიხსნათ მილიონობით ადამიანი და გავაუმჯობესოთ მილიარდობით ადამიანის ცხოვრების დონე. ჩვენ საკმაოდ ენერგიულად მივიწევთ წინ და იმედი მაქვს, მალე მსოფლიოს უმეტეს ნაწილში შევაღწევთ — აცხადებს მირილაშვილი, ინტერვიუში მან განაცხადა, რომ WaterGen-ის თაობაზე ნაცნობი ჩინელი ბიზნესმენებისაგან შეიტყო, რომლებიც ისრაელს იმისთვის სტუმრობდნენ, რომ ამ კომპანიის თანამშრომლებს შეხვედროდნენ. მირილაშვილი დაინტერესდა ტექნოლოგიით და კომპანიის დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს არიე კოხავის შეხვდა. არიე კოხავის ნაამბობმა ბიზნესმენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — წარმოიდგინა, WaterGen-ის მეოხებით, თუ როგორ იხსნიდა კაცობრიობას, თუმცაღა, შეხვედრის სხვა მონაწილენი ასე როდი ფიქრობდნენ — მათ განსხვავებულიო აზრი ჰქონდათ: „დავივიწყოთ ეს საქმე!“ უთხრეს მათ მირილაშვილს — ეს ტექნოლოგია ფიზიკის კანონებს ეწინააღმდეგებაო.

მიუხედავად ამისა, მიხ. მირილაშვილმა გადაწყვიტა ყველაფერი თავად შეემოწმებინა: შედეგი საოცარი აღმოჩნდა, რის შედეგადაც მირილაშვილმა კომპანიის 70% შეისყიდა და შეცვალა კომპანიის მიმართულება: თუ აქამდე იგი პაერის გამოშრობაზე გახლდათ აქცენტირებული, სულ სხვა მიმართულება მისცა — ჰაერიდან წყლის გენერაცია, რაც უმნიშვნელოვანესია იმ რეგიონებისათვის, სადაც არ ჰყოფნით, ან არა აქვთ სუფთა წყალი.

ინდოეთსა და ვიეტნამში

მიხეილ მირილაშვილი ინდოეთსა და ვიეტნამში სდებს ინვესტიციას წყლის საწარმოო გენერატორების — WaterGen-ის ქარხნების ასაგებად. ურთიერთგაგების შესაბამისი მემორანდუმი მიხ. მირილაშვილმა უკვე გააფორმა ინდოეთის konsorcium Vikram Solar-თან და ხანოის მშენებლობის დეპარტამენტთან.

მიხ. მირილაშვილი ამ პროექტში 200 მილიონი დოლარის ჩადებას აპირებს.

წყლის გენერატორები, Water Gen, რომელიც წყალს ჰაერიდან აწარმოებს, შემუშავებული იქნა მირილაშვილების ერთ-ერთი საინვესტიციო ფონდის Vaizra Capital-ის მეოხებით, რომელიც მირილაშვილების ოჯახმა შეისყიდა მას შემდეგ, რაც გაჰყიდა თავისი წილი „ვ კონტაკტში“. Vaizra-ს გაანგარიშებით, გენერატორების წარმოებაში მირილაშვილებმა 150 მილიონი დოლარი ჩასდეს.

WaterGen-ი წყლის საყოფაცხოვრებო გენერატორებთან ერთად, დღეში 20 ათას ლიტრ წყლის მიმღებ სამრეწველო გენერატორებსაც აწარმოებს. მიხ. მირილაშვილი ინდოეთსა და ვიეტნამში სწორედ ამ მოცულობის წყლის მომცემ ქარხნის გენერატორებს აშენებს. ამით სახელმწიფოები ცდილობენ გადაწყვიტონ მეგაპოლისების წყლით მომარაგების პრობლემა. ამას გარდა, აქვთ საშუალება კიდევ დაამზადონ საშუალო მასშტაბის წყლის გენერატორები, რომელიც დღეში 450 ლიტრ წყალს იძლევა. ამ გენერატორებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ყიდულობს თავისი ოპერატიული ბაზების, ასევე სამხედრო საჭიროებისათვის.

ასევე შემუშავებულია ავტომობილის წყლის გენერატორები და წყლის გადასატანი გამწმენდი.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება აშშ-სთან.

„კალამი არის ჩემი ხმალი, ჩემი მახვილი და ნუ გგონიათ მისი მართვა ასე ადვილი“

წერს ახლახან ისრაელში გამოცემულ წიგნში „ლექსების კრებული“ ნორა სეფიაშვილი — მეუღლე ერთობ ღირსეული ბიზნესმენისა და ქართველ ებრაელთა ყოფის აღმწერლისა ბესო მიხელაშვილისა. ნორა სეფიაშვილმა არაერთი და ორი წიგნი შესთავაზა მკითხველს. „ლექსების კრებული“



მაღალ საგამომცემლო დონეზე (მაგარი ლამინირებული ყდა, ძვირფასი „ცარცის“ ქაღალდი) გახლავთ გამოცემული. მასში უმთავრესად შესულია ნათესავების, ახლობლებისადმი, ან მნიშვნელოვანი საზოგადო მოვლენებისადმი მიძღვნილი ლექსები. აი, ერთი მათგანი:

ჩემს რძალს — ბელას
ჩემო კარგო, მოგილოცავ.
ვაჟიშვილს და დედობას,
გეხვევი და ტუჩზე გკოცნი,
ჩემს პატარა მეგობარს.

გაგეზარდოს კარგი შვილი,
სასახელო ქვეყნისთვის,
ყველაფერი შეგისრულდეს,
რაც გეთხოვოს ღმერთისთვის.

<u>საქართველოს ებრაელობა შინ და გარეთ</u>

ჩვენი საამყო შვილები

უკვე საკმაოდ გახმაურებული პროექტი „გაიცანით თქვენი შვილები“, რომლის მიზანია ხალხისა და ქვეყნის წინაშე წარადგინოს ჩვენი თემის წარმატებული ახალგაზრდები თითქმის ცხრა წელიწადს მოითვლის. უნდა აღინიშნოს, რომ მათი სახელები დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, რამეთუ მათი მიღწევები ქვეყნის ინდუსტრიის ნებისმიერ სფეროში, ფასდაუდებელია. მაგონდება რა, სად და როდის დაიბადა იდეა ამ პროექტისა, ვუბრუნდები იერუსალიმის თეატრში ჩატარებულ ქვეყნის მეთაურის მიერ მუსიკის დარგში მოღვაწეთა პრემიით დაჯილდოების ცერემონიას. ცერემონიის მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზი, კომპოზიტორ ხანა აჯიაშვილის ხილვისას, გამიჩინდა სურვილი ყველასთვის მემცნო ნანახითა და განცდილით გამოწვეული სიამაყის უსაზღვრო გრძნობა.

ხანა დაიბადა და გაიზარდა თბილისში. მამა, დავით ეხისკელაშვილი ექიმი გახლავთ. დედა ლიანა კაჟილოტი, მუსიკოსია. ჰოდა, ხანამ გადაწყვიტა კაჟილოტების მუსიკოსთა დინასტია გაეგრძელებინა — 19 წლისა ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკულტეტზე, ნოდარ მამისაშვილის კლასში. სწორედ ბატონ ნოდარს უთქვამს: „თუ ოდესმე ისრაელში მოხვდები, შენ შეიძენ სულ სხვა სულიერ სამყაროს“, რომელიც ერთგვარი წინასწარმეტყველება გამოდგა. ხანამ სტუდენტობისას გაიცნო და შემდგომში ბედი დაუკავშირა მეტად ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდას, მიხეილ აჯიაშვილს. მალე ისინი მოსკოვში გადავიდნენ და ხანამ განაგრძო სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში ვლადიმერ ტარნოპოლსკის კლასში. მათ ორი ვაჟი შეეძინათ. 2001 წელს ისრაელში ამოვიდნენ და დაადგნენ აბსორბციის არც თუ იოლ გზას. ხანამ სამომავლო გეგმების განსახორციელებლად, გადაწყვიტა ბარ–ილანის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა. ნებისმიერი ქვეყანა ყველას თავის კანონს კარნახობს. ხანას აქ დახვდა ახალი პერსპექტივები და სულ სხვა ასპარეზი უამრავი შესაძლებლობებით. მეტად ნაირფერი და საუცხოო, ისეთი, როგორიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელების მიერ ჩამოტანილმა კულტურების შერწყმამ, სინთეზმა შექმნა.

და მაინც ხანა აჯიაშვილს საკუთარი ხელწერა უნდა ჩამოეყალიბებინა, რაშიც მეტად შეუწყეს ხელი პროფესორებმა: გიდონ ლევინსონმა და ბეტი ოლივერომ. ესენი დაეხმარნენ დაფრთიანებულიყო და თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია მოეხდინა. სულ მალე ხანა იწყებს მუშაობას ორ იეუდას სამუსიკო სკოლაში თეორიის მასწავლებლად, შემდეგ კი აყალიბებს საკომპოზიციო კლასს, სადაც დამწყები კომპოზიტორები იმაღლებენ კვალიფიკაციას. ცოტა ხანში ხანა ამავე სკოლის დირექტორი ხდება. პარალელურად წერს მუსიკას ბალეტისათვის „როდესაც გაიზრდები“, იანოშ კორჩაკის ცხოვრების მოტივებზე. ევგენი რუმინის ფილმისთვის „სასწაული“ გამოცხადებულ კონკურსში ყველაზე მეტად ხანას მუსიკა „მოერგო“. მან სადოქტორო თემად ედისონ დენისოვის ხელოვნება აირჩია და მეორე ნაწილისათვის დაწერა სიმფონია „ფერები“. ხანა აჯიაშვილი წლების განმავლობაში თანამშრომლობს მეტად ცნობილ ასნამბლთან „მეითარ“ („სიმი“), რომლის ამოცანაა ისრაელისა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულება. ამ ანსამბლმა შეასრულა ხანას რამდენიმე პიესა, მათ შორის: „წერტილები და ხაზები სიბრტყეზე“, „პრესტო“, „ტრიო მობილე“ და სხვა. მას შემდგომ უამრავი პროექტი განახორციელა ნიჭიერმა ახალგაზრდა ქალმა: 2010 წელს ჯერ თელ–ავივში შესრულდა მისი ნაწარმოები, ხოლო შემდეგ პროფესორ ჯონათან მეკერთან ერთად ამერიკის სტენფორდის უნივერსიტეტში, სადაც მან ლექციებიც ჩაატარა. 2011 წელს შესრულდა ნაწარმოები ფლეიტასა და ანსამბლისათვის. „მეითარი“ს მიერ გამოშვებულ დისკში, სხვა ცნობილ კომპოზი–ტორებან ერთად ხანას „21–ე საუკუნე“ შევიდა. ეს ნაწარმოები შესრულდა.. მთავარი დირიჟორის, ილან ვოლკოვის ხელმძღვანელობით. 2013 წელს იგი მიწვეულ იყო ევროპაში და დიდი წარმატება ხვდა წილად ისეთ პრესტიჟულ ფესტივალებზე, რომელიც გაიმართა დრეზდენში, ჰამბურგსა და მადრიდში.

ხანა აჯიაშვილის სახელი იმდენად ცნობილია, რომ 2015წ. დაკვეთა მიიღო იერუსალიმის ფესტივალზე „სინესტეზია“, სადაც კომპოზიტორები მუშაობენ ვირტუალურ ხელოვნებაზე. ხანას მუსიკაზე შეიქმნა ფირი, რომელიც ამჟამად ჩიკაგოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი.



— სად და რა ვითარებაში ტარდებოდა გადაღება? — ვეკითხები.

— ეს არის რეჟისორის სიურეალისტური ჩანაფიქრი და კადრების უმეტესობა წყალი და მყვინთავებია. ის, რაც მან ჩემი მუსიკის მოსმენით დაინახა.

ამის შემდეგ ხანამ დაწერა 30 წუთიანი მონოდრამა მარინა ცვეტაევას ლექსზე „სიტყვები და აზრები“, რომელიც შესრულდა ფესტივალზე „ხაგ ჰამუზიკა ჰაისრეელით“.

ხანას მიერ 2013 წელს დაწერილი ნაწარმოები სამი საყვირისა და ფორტეპიანოსათვის საინტერესო გახდა გერმანიის წამყანი შემსრულებლებისათვის. ნაწარმოების პრემიერა ჯერ დრეზდენის „თეთრი ღამეების“ თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე შემდეგ კი თელ–ავივის მუსიკის აკადემიაში გაიმართა. ცნობილი პროფესორის, ჯონ საქსის თხოვნით, (იგი ხანას იცნობდა მისი გამოსვლებით გამოჩენილ კომპოზიტორ სოსო ბარდანაშვილთან ერთად) ჯულიარდში სიმებიანი კვარტეტის მიერ სრულდება პრემიერა ნაწარმოებისა „მომენტო კვარტეტ“. ხანა აჯიაშვილს მას შემდეგ ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს ნიუ–იორკის მუსიკალურ სამყაროსთან. მათ მოსწონთ მისი სტილი და ყოველთვის სრულდება თანამედროვე ხელოვანთა ნახატების ფონზე. იგივე ხასიათს ატარებდა რუბინის ტილოების მიხედვით ხანას მიერ შექმნილი მუსიკა, რომლის პრემიერაც რუბინის მუზეუმში შესდგა. რეუვენ რუბინი ხომ მე–20 საუკუნის თვალსაჩინო მხატვარი და მოდერნისტული ხელოვნების ფუძემდებელი გახლდათ, რომლის ტოლოები ნიუ–იორკის „მეტროპოლიტენ“ მუზეუმის სკუთრებაა. ისრაელ–ამერიკის ფონდი დიდად უწყობს ხელს ახალი სახელების გამობრწყინებას და სწორედ ამ ფონდის მიერ ჩატარებულ ჩელისტების კონკურსზე ხანამ ჩვენი ქვეყანა წარადგინა თავისი ნაწარმოებით „სოლო ვიოლონჩელისთვის“.

ერთი წლის წინათ ხანამ ჩაატარა საერთაშორისო მასტერ-კლასი დამწყები კომპოზიტორებისათვის. გასულ წელს კი ხანა აჯიაშვილის 14 მოსწავლემ წარადგინა თავის ნაწარმოებები საჩვენებელ კონცერტზე. ამავე პროექტის ჩარჩოებში იგი მაისში მიემგზავრება ნიუ–ორკში თავის მოსწავლეებთან ერთად, კონცერტში მისი ვაჟი — დანიელ აჯიაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. რაკიღა ხანას ვაჟი ვახსენე, მოგახსენებთ, რომ იგი თელ–ავივის სამუსიკო აკადემიის საუკეთესო სტუდენტია და იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც მშობლების ძალდატანებით კი არ მეცადინეობს, მუსიკა მისი მოწოდებაა. ხანას უმცროსი ვაჟი — ალექსი ნიჭიერი მათემატიკოსია და ამჟამად ჯარში მსახურობს. ხანს მეუღლე, მიხეილ აჯიაშვილი, ისრაელის ცენტრალური გაზეთის „იედიოთ ახრონოთის“ ტექნიკური განყოფილების უფროსია. ხანა ამბობს, რომ სწორედ მიხეილისა და მისი მშობლების — ტანიასა და ედუარდის მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე, იგი ამ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

— ახლა შენს მომავალ გეგმებზე მიამბე...

ხანას ეღიმება და არ იცის რითი დაიწყოს. და მაინც ყველაზე პრესტიჟულად მას მიაჩნია ნიუ–იორკში გამზავრება, სადაც მისი ჯგუფი ლინკოლნ ცენტრის დავიდ გეფენის სახ. დარბაზში გამოვა. ამიტომაც მის მღელვარებას არა აქვს საზღვარი. მისი პასუხისმგებლობაგაა გაათმაგებულია, რამეთუ მისი მოსწავლეები არა მარტო წერენ მუსიკას, არმედ თავადვე ასრულებენ კიდეც. ამის შემდეგ მე–14 ავენიუზე არსებულ სამუსიკო სასწავლებელში აქვთ საჩვენებელი გამოსვლები. ამჟამად ხანას ინიციატივით გამოცხადდა სრულიად ისრაელის კონკურსი საუკეთესო მოსწავლეთათვის. 100 მონაწილის მაგიერ უკვე 300–მა მსურველმა გააკეთა განაცხადი და რა თქმა უნდა, რომ ეტაპებად დაყოფა და სხვა საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა, ხანას, როგორც კომისიის თავჯდომარეს, ეკუთვნის. ივლისის თვემდე უნდა ჩატარდეს მოსმენა და ფინალში გადაყვანა. კომისიის შემადგენლობაში არიან ისრაელის ცნობილი მუსიკოსები: იუვალ ადმონი, ანათ ფორტი, გილად არელი, პროფ. მირა ზაკაი, სარა ტალი და სხვა. ეს პროექტი დააფინანსა კულტურის სამინისტრომ და ორ–იეუდას მერიამ.

— მე სიონისტი ვარ და ისრაელის მუსიკალური კულტურის განვითარება დიდ პატივად და პირად მოვალეობად მიმაჩნია — ამბობს ხანა. რუბინშტეინის ყოველწლიურ კონკურსში ისრაელის სამი ქალაქი მონაწილეობს და მათ შორის ორ– იეუდაც. ფინალი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემა .

— ამბობენ, რომ ყოველი ნაწარმოები საკუთარი პირმშოსავითაა, მაგრამ ხომ მაინც არის წარმატებული და არც თუ ისე... რას მეტყვით ამის თაობაზე?

— მე თვითონაც არ მომწონებია ზოგჯერ, მაგრამ ეს ნორმალურია, სხაგვარად პროგრესი არ იქნება. მე ძალიან მიყვარს ჩემი „ჰაავირ ჰატაჰორ“ ანუ „წმინდა ჰაერი“. რომელისთვისაც 29 მარტს თელ– ავივის „შემოქმედის სახლში“ ჩატარებულ ცერემენიაზე, ყველაზე მაღალი დონის პრემია „აკუმ“ მომენიჭა“ — დაუფარავი სიამაყით ამბობს ჩემი მოსაუბრე — მიყვარს „კონჩერტო“ საყვირისა და ანსამბლისათვის, აგრეთვე „ცლილეი ორ“ (შუქის ბგერები), სადაც ბრძოლაა სინათლესა და უამრავ წინაღობას შორის ისე, როგორც კაბალაშია აღწერილი, თუ რატომ ვერ აღწევს ჩვენამდე ღვთიური სხივი. ალბათ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ მიყვარს ის ნაწარმოები, რომლიც ჯერ არ დამიწერია.

კიდევ ერთი შეკითხვა ხანას:

— ამდენი წელია შენ ისრაელელი კომპოზიტორი გქვია და მაინც რომელი კულტურის გავლენასა გრძნობ, ქართულის, რუსულის თუ ისრაელისას?

— მგონი შერწყმაა ყოველივესი და ყველაზე მეტი მაინც დღევანდელობისა. მე თანამედროვე მუსიკა იმიტომ ავირჩიე, რომ მასში ერთი ინსტრუმენტი ჟღერს, როგორც სხვადასხვა, ამიტომაც ჩვენი მსმენელის ასაკი არ არის შემოფრგლული, იგი ახალგაზრდასა და ხნოვანს თანაბრად მოსწონს.

ხანა აჯიაშვილის სახელი, როგორც მომავლის მუსიკის ავტორი და შემსრულებელი, ცნობილია მსოფლიოს მრავლი ქვეყნის მუსიკის სამყაროში და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ნაამბობით ქართული აუდიტორიაც გაიცნობს.

ლია კრიხელი
ისრაელი

საქართველოს ებრაელობა მსოფლიოს ებრაელობის კონტექსტში

(მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მე-15 გენერალური ასამბლეა)

ჯერ კიდევ შარშან, მარტში ბუენოს-აირესში გამართულ გენასამბლეაზე გადაწყდა, რომ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მე-15-ე გენასამბლეა ნიუ-იორკში გაიმართებოდა. რონალდ ლაუდერმა ჯერ კიდევ მაშინ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ჩასდგომოდა სათავეში მსოფლიოს ებრაელობის ამ უმაღლეს ორგანოს — გამხდარიყო მისი პრეზიდენტი და ბუენოს აირესშივე წინასაარჩევნო სარეიტინგო კენჭისყრაც კი ჩატარდა. ბუენოს აირესის სასინჯმა კენჭისყრამ გამოავლინა რონალდ ლაუდერის ურყევი ავტორიტეტი და ცხადი გახდა, რომ ნიუ-იორკის გენასამბლეაზე მას დიდი მხარდაჭერა ექნებოდა.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი აერთიანებს მსოფლიოს ოთხივე კონტინენტზე მცხოვრებ ებრაელობას და მოქმედ 102 ებრაულ ორგანიზაციას, რეგიონალურ კონგრესებს, თემებს (ცხადია, სერიოზულთ, ღირსეულთ, თორემ ებრაულ ორგანიზაციებს რა დათვლის!). კონგრესში გაერთიანების პროცესი ერთობ რთულია — მას ხანგრძლივი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ამის დასტურად იმის გახსენებაც საკმარისია, თუ რაოდენ გრძელი გამოდგა საბჭოთა კავშირის ებრაული თემებისა და ორგანიზაციების მეკ-ში გაწევრიანების პროცესი, თუმცაღა, ეს ორგანიზაცია აერთიანებდა უზარმაზარი საბჭოეთის რესპუბლიკების ებრაელობის უამრავ თემებს და გახლდათ ერთობ წარმომადგენლობითი. ეს გაჭიანურებული პროცესი ვეღარც დასრულდა, რადგან ვიდრე საკითხი ისწავლებოდა, მოწმდებოდა, საბჭოთა კავშირმა ჭირი მოგჭამათ. კონგრესის წევრობისათვის ბრძოლა რუსეთის ებრაელობამ, მისმა მეთაურმა ორგანიზაციებმა განაგრძეს. საბჭოთა კავშირის სახელით დაწყებული საქმე რუსეთის ებრაელობის გამარჯვებით დასრულდა — ამას მაინც დასჭირდა რამდენიმე წელიწადი. ცხადია, რუსეთის ებრაელობის ამ გამარჯვებაში საქართველო არ მოიაზრებოდა, მას თავისი გზა უნდა გაევლო და წლითიწლობით გადიოდა კიდეც ამ გზას — პროცესი გახლდათ თანმიმდევრული და სერიოზული.

და აი, 2013 წელს ბუდაპეშტში გამართულ მე 14-ე გენერალურ ასამბლეაზე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გურამ ბათიაშვილის ბრძოლა წარმატებით დასრულდა — მისი წარდგინებით საქართველოს ებრაელობა მიღებული იქნა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წევრად, ხოლო თავად გურამ ბათიაშვილი არჩეული იქნა კონგრესის ვიცე პრეზიდენტად.

მე14-ე გენერალური ასამბლეიდან ნიუ-იორკში გამართულ გენასამბლეამდე განვლილი პერიოდი გახლდათ საქართველოს, მისი ებრაელობის მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციათა რუქაზე დამკვიდრების პროცესი. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა მეკ-ის აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტის რობერტ ზინგერის თბილისში სტუმრობამ. აქ იგი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დ. ჯალაღონიას, ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მთავარი საზრუნავი ისრაელის სახელმწიფოს ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში, ქვეყნებში მცხოვრები ებრაელობის უშიშროებაა. ებრაელთა მდგომარეობა, ბედი, ანტისემიტიზმის დონე, ჰოლოკოსტისადმი დამოკიდებულება ამა-თუ იმ ქვეყანაში მისი მთავარი საფიქრალია. ამ მიზნის აღსასრულებლად კონგრესის ლიდერები ხვდებიან სახელმწიფოთა მეთაურებს,მინისტრებს,სხვადასხვა რელიგიების მესვეურ პიროვნებებს და სხვ. მათ აქვთ უწყვეტი დიალოგი ქრისტიანული, თუ მუსლიმური კონფესიის მეთაურებთან ორიოდე წლის წინათ, როცა მეკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა რომში ჩატარდა, ერთობ გულთბილი შეხვედრა გაიმართა რომის პაპთან. ამ შეხვედრაზე მსოფლიოს კათოლიკეთა სამწყსოს პონტიფიკმა ებრაელობისადმი დიდი პატივისცემა გამოავლინა, რაც მოგვიანებით მისი საქმიანობითაც დადასტურდა.

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერესი და რონალდ ლაუდერი

ასე რომ, ისრაელის სახელმწიფოს, სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა უსაფრთხოება კონგრესის მოღვაწეობის თავიდათავია. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ებრაელთა თემის მდგომარეობა, მისი მიმართება აბორიგენ მოსახლეობასთან ხელისუფლებასთან, სხვა კონფესიების მატარებელ თემებთან გახლავთ ტრადიციული — ისეთი როგორც იყო საუკუნეების განმავლობაში და კონგრესს საქართველოდან არცერთი არხით არ მისდიოდა საგანგაშო სიგნალები, შეიძლება ითქვას, მისი მუშაობა საქართველოში ნომინალური გახლდათ — არ იგრძნობოდა მისი აქტიურობა და ეს ძალიან კარგი ნიშანია — კონგრესი აქტიურია იმ ქვეყნებში, სადაც ებრაელობის მიმართ საგანგაშო მდგომარეობა იქმნება.

მეკ-ის მე-15-ე გენერალური ასამბლეა, როგორც ითქვა, ნიუ-იორკში შეიკრიბა. მის მუშაობაში მონაწილეობდა 102 სახელმწიფოს ექვსასამდე წარმომადგენელი — მსოფლიოს ყოველი კუთხის, თითქმის ყველა ქვეყნის ებრაელობის წარმოგზავნილი. გენ ასამბლეა გაიხსნა 23 აპრილს სასტუმრო „ჰილტონში“, დელეგატები ერთი სიურპრიზის შემსწრენი გახდნენ: გენ ასამბლეის მონაწილეებს ვიდეომიმართვა გამოუგზავნა აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა., რაც სხდომების პროგრამაში არც იყო გათვალისწინებული.

დონალდ ტრამპის ვიდეო საუბარი გამოირჩეოდა დიდი პატივისცემით მსოფლიოს ებრაელობის, ამ ერის შვილთა ღვაწლისადმი აშშ ეკონომიკის, კულტურის განვითარების საქმეში. პრეზიდენტმა ისაუბრა ისრაელის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხებზე და აღნიშნა ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება:

— მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი ჩემი დიდი ხნის მეგობარია, აშშ პრეზიდენტობისათვის საარჩევნო კომპანია რომ დავიწყე, ლაუდერი მამხნევებდა, უსათუოდ გაიმარჯვებო, მეუბნებოდა. საინტერესო რჩევებიც მომცა.

ამ ვიდეომისალმებამ გენასამბლეის დელეგატებს შორის საინტერესო კომენტარები წარმოშვა:

— გარდა იმისა, რომ სიძე, მძახალი ჰყავს ღრმად მორწმუნე ებრაელი, მისმა ქალიშვილმა გიური გაიარა და იუდაიზმი აღიარა, პრეზიდენტი მთელი ცხოვრება ბიზნესმენთა წრეში ტრიალებდა, ამ წრეში კი ებრაელები ბლომად იყვნენ, მას არაერთ ებრაელთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობა, ამდენად, ებრაელობის ავ-კარგს, ყოფა-ცხოვრებას სამთავრობო, თუ სხვა რეზოლუციებით კი არ იცნობს, ღრმად არის ჩახედული, როგორც იტყვიან ყველაფერი „დედანში აქვს წაკითხული“ , ამიტომ არის ასეთი რეალისტური და პირდაპირი — იგი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ხელმძღვანელობს და აფასებს მოვლენებს.

იმავე საღამოს გენასამბლეის დელეგატთა წინაშე წარსდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერესი — პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

ანტონიო გუტიერესმა ვრცლად ისაუბრა გაეროს მუშაობის პრინციპებზე, ისრაელისა და არაბული სამყაროს ურთიერთობაზე, იმ სიტუაციაზე, რომელიც გაეროში ისრაელთან დაკავშირებულ საკითხებზე რეზოლუციებზე კენჭისყრისას იქმნება ხოლმე. არაბული, ისლამის მაღიარებელი სახელმწიფოთა სიჭარბე (ასეთი სახელმწიფო კი თითქმის ოთხი ათეულია) მეტწილად აფერხებს საღი აზრის გამარჯვებას და ყოველთვის ვერ ხერხდება ობიექტური რეზოლუციების მიღება

მომდევნო დღეს, 24 აპრილს აღინიშნებოდა მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის დღე — ჰოლოკოსტი, როცა ფაშისტური გერმანიის ებრაელობისადმი სიძულვილმა ექვსი მილიონი ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. ანტონიო გუტიერესმა ისაუბრა ჰოლოკოსტზე, იმ დიდ ტრაგედიაზე, რომელიც ებრაელმა ხალხმა გადაიტანა და ხაზი გაუსვა იმას, რომ კაცობრიობა ყოველდღიურად უნდა ებრძოლოს ამგვარ ტენდენციას. იმ დღეს გაცხადდა გაეროს არქივის განსაჯაროების ამბავი — არქივის დოკუმენტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ფაშისტთა გეგმები ებრაელობის მიმართ, ისიც, რომ ანტიფაშისტური ქვეყნების კოალიციამ ჯერ კიდევ 1942 წელს იცოდა, თუ რა გეგმები ჰქონდათ ფაშისტებს ებრაელობასთან დაკავშირებით და არა-რა სერიოზული ღონისძიება არ ჩაატარა ამ გეგმების აღსაკვეთად — ფაქტიურად მსოფლიო მაყურებლის როლში მოექცა.

მეკ-ის გენერალურმა ასამბლეამ პროცესუალური მუშაობა მომდევნო დღეს — 24 აპრილს დაიწყო — მოსმენილი იქნა პრეზიდენტ რონალდ ლაუდერის მოხსენება. რამდენიმე ამონარიდი მისი გამოსვლიდან:

„ჩემი ცხოვრების განმავლობაში ბევრი კარგი რამ მიკეთებია, მაგრამ განსაკუთრებულ სიხარულს მგვრის ის რომ ვემსახურები ისრაელის, მსოფლიოს ებრაელი ხალხის უსაფრთხოების საქმეს. ამიტომ გადავწყვიტე კვლავაც ვიყარო კენჭი პრეზიდენტის თანამდებობაზე.“

„როცა მე დავიბადე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ებრაელობა იყო მოსახლეობის 4%, დღეს არის 1%. მაგრამ რა მდგომარეობაა ამ ერთ პროცენტში? არიან ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ებრაელებად მოევლინენ ქვეყნიერებას, მაგრამ არ იციან, თუ რას ნიშნავს ეს. ერთ დროს მეც ასეთი ებრაელი ვიყავი. მაგრამ როცა ძლიერ მოვინდომე, ყველაფერს ჩავწვდი“

რონალდ ლაუდერმა ისაუბრა სხვა კონფესიებთან ებრაელობის მიმართების საკითხებზე და თქვა:

— ყურადღებას ნუ მივაქცევთ იმას, რაც ერთმანეთისაგან გვანსხვავებს, გვაშორიშორებს, მზერა იმას მივაპყროთ, რაც ერთმანეთთან გვაახლოებს, გვაახლოებს კი ძალიან ბევრი რამ.

ეროვნული იდენტობის საკითხზე საუბრისას, პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა განათლების საკითხზე, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომაც მან ევროპის და ამერიკის რამდენიმე ქალაქში გახსნა და აფინანსებს ებრაულ სკოლებს, ებრაული განათლების ცენტრებს, რომლებშიც ებრაელი ახალგაზრდობა სწავლობს.

ჩატარდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის არჩევის პროცედურა. ლაუდერს ამ პოსტზე კონკურენტიც არ ჰყავდა.იგი ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა არჩეული მეკ-ის პრეზიდენტად.

ასევე უალტერნატივო გახლდნენ და ღია კენჭისყრით ხელახლა ერთხმად იქნენ არჩეულნი კონგრესის თავმჯდომარე დავით როტშილდი (თუმცა, დიდ ებრაელ ბანკირთა ოჯახის ეს წარმომადგენელი გენასამბლეას მიზეზთა გამო ვერ დაესწრო), ხაზინადარი ჩელა საფრა და აღმასრულებელი ვიცეპრეზიდენტი რობერტ ზინგერი.

სამხრეთ ამერიკელი მილიარდერი ქალბატონის, მეკ-ის ხაზინადარ ჩელა საფრას საანგარიშო მოხსენებაში გაჟღერებული ერთი ციფრი ნათლად მეტყველებს მეკ-ის და მისი პრეზიდენტის ავტორიტეტზე: კონგრესის ბიუჯეტი წელიწადში შეადგენს 21 მილიონ დოლარს. ეს არის პრეზიდენტის, ბიზნესმენების, ებრაული თემებისა და ორგანიზაციების შენატანი კონგრესში.

ამჯერად მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წევრად მიიღეს ალბანეთისა და ბახრეინის ებრაელობა.

გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამომსვლელმა ევროპის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მოშე (ვიაჩესლავ) კანტორმა ასეთი საგან-

გაშო ციფრები მოიყვანა:

— ბოლო ხანს აშშ სტუდენტობაში 40-% გაიზარდა ანტისემიტიზმი, 10-% — ინგლისში. ამიტომ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს, რომ ადამიანებს მივცეთ სწორი ინფორმაცია.

იუნესკოს გენერალური დირექტორის ირინა ბოკოვას გამოსვლა ძალიან ჰგავდა გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტიერესისას: იუნესკო ხომ გაეროს სტრუქტურაა. ერთგანაც და მეორეგანაც არაბული სახელმწიფოები იოლად ახერხებენ ანტისრაელური რეზოლუციების გატარებას. ირინა ბოკოვამ დაწვრილებით ისაუბრა თუ რაგვარ საქმიანობას ეწევა იუნესკო ჰოლოკოსტის პოპულარიზაციისათვის, რა სანქციებს მიმართავს მის უარმყოფელთა წინააღმდეგ — ამ უარყოფით ესენი ხომ დასაშვებად მიიჩნევენ ახალ სისხლისღვრას.ირინა ბოკოვამ დელეგატებს ისიც აუწყა, რომ ინერგება გენოციდის ახალი ფორმები. და ყოველი სახელმწიფო მოვალეა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს ამ საკითხს.

ანტონიო გუტიერესისა და ირინა ბოკოვას გამოსვლებთან დაკავშირებით: ამ გამოსვლების ქვეტექსტში გამოსჭვიოდა ერთგვარო მობოდიშება იმის გამო, რომ ერთგანაც და მეორეგანაც მომრავლდა ანტიისრაელური რეზოლუციები. ისინა ისრაელის სახელმწიფოს , ებრაელობის ქომაგებად მხარდამჭერებად წარმოაჩენდნენ თავს და ეს ასეც უნდა იყოს — ჭეშმარიტებას ღაღადებდნენ, მაგრამ მათი გამოსვლებიდან ერთი კვირაც არ გასულა, და იუნესკომ კვლავ მიიღო ანტიისრაელური რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ისრაელი ცხადდება ოკუპანტ სახელმწიფოდ, რომელსაც არა-რა უფლება არა აქვს იერუსალიმზე, იერუსალიმთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ცხადდება ისრაელის კანონები, ქნესეთის გადაწყვეტილებები და სხვ. მუსლიმური სახელმწიფოების სიჭარბის გამო როგორც გაეროში, ასევე იუნესკოში ანტიისრაელური რეზოლუზიების გატანა რთული აღარ არის. ნუთუ, მსოფლიო ასე უძლურია ამგვარი მახინაციების მიმართ? თუ გაერომ არ შეიმუშავა ახალი ნორმები, ახალი კრიტერიუმები, მალე მათი რეზოლუციები ყბადაღებული აბსურდის თეატრამდე დაეშვება. სრულ აბსურდთან გვაქვს საქმე, როდესაც აცხადებენ, რომ ებრაელობას არა-რა კავშირი არა აქვს დავითის ქალაქთან.

გაიმართა მეკ-ის ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები. ამჯერად ვიცე-პრეზიდენტობა წილად ხვდათ ბელგიის, ჩეხეთის, შვეიცარიის, ვენესუელასა და საბერძნეთის წარმომადგენლებს.ამათ გარდა, მეკ-ის დებულების თანახმად, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტები ავტომატურად ხდებიან რეგიონალური კონგრესების ხელმძღვანელები — ევროპის, ევრაზიის, ლათინური ამერიკის, ისრაელის, ჩრდილოეთ ამერიკის სექციათა ხელმძღვანელები, ასევე დიდი საზოგადოებრივი (ცხადია, ებრაული!) ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ევრაზიის ებრაელთა ქვოთით მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტები კვლავაც გახლავან იულიუს მაინლი და მიხეილ მირილაშვილი — ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

ლილი ბააზოვის წიგნის პრეზენტაცია-განხილვა

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, მოსკოვში, 2016 რუსულ ენაზე გამოაქვეყნდა მეცნიერებათა დოქტორ აღმოსავლეთმცოდნე ლილი ბააზოვის წიგნი „ებრაელები საქართველოში. ნარკვევები სოციალურ ეკონომიკური და საზოგადოებრივ -რელიგიური ცხოვრების ისტორიიდან.“, გამომცემლობა „გალაქტიკა“, 828 გვ. წიგნისადმი დიდი ინტერესის გამო ისრაელსში საქართველოდან ამოსული საზოგადოების ასზე მეტი წევრი 25 აპრილს ქალაქ ბათ იამის ეშკოლ პაისის შენობის მშვენიერ დაბაზში შეიკრიბა ზემოთსენებული წიგნის პრეზენტაზია -განხილვაზე.

შეკრებას ესწრებოდნენ წიგნის ავტორი ქალბატონი ლილი ბააზოვი, მისი ვაჟი გიორგი ტაბატაძე და ქალიშვილი ანა შიმშილაშვილი, შვილიშვილები.

შეკრებას უძღვებოდა პროპესორი დოდო ჩიკვაშვილი. მან საინტერესოდ მიმოიხილა დიდი დავიდ ბააზოვისა და მისი შთამომავლების წარსული, აწმყო და მომავალი, განსახილველ წიგნთან კავშირში; წარმოადგინა იმათი სახელები, ვინც მოსალმება გამოუგზავნა პრეზენტაზია- განხილვის მონაწილეებს. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა პროფესორი დავიდ ბააზოვი, რომელმაც აღნისშნა წიგნის ძირითადი ასპექტები; ილაპარაკა მათი ოჯახების ურთიერთობაზე, ქართველ ებრაელ მეცნიერთა ადგილზე რუს და ევროპელ ებრაელ მეცნიერთა შორის. პროფესორმა მოშე დანიელმა ფართოდ მიმოიხილა ამ წიგნამდე არსებული პუბლიკაციები საქართველოს ებრაელთა ისტორიის შესახებ, აღნიშნა რომ წიგნი წარმოადგენს მონუმენტალურ და კონცეპტუალურ მონოგრაფიას,რომელიც წარმოგვიდგენს საქართველოს ებრაელთა ცხოვრებას საქართველოში მოსვლიდან უახლოეს დღეებამდე.მიმოიხილა რაბინ დავიდ ბააზოვის როლი საქართველოს ებრაელთა ისტირიაში, მისი როლი ქართველი ებრაელობის ისტორიაში შეადარა ილია ჭავჭავაძის როლს ქართველი ერის ისტორიაში და ლილი ბააზოვის წიგნს უწოდა განხილულ საკითხზე დღემდე გამოქვეყნებული პუბლიკაციების გვირგვინი.

მესამე მომხსენებელი იყო დოქტორი იაკიბ ოფირი.მან მიმოიხილა ებრაელი ერის უძველესი და თანამედროვე ისტორია,სარწმუნეობის და ებრაელი რაბინების როლი ებრაული თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში .

პროგრამით დაგეგმილ მომხსენებლების დამატებით სიტყვით გამოვიდა პროფესორი შალვა წიწუაშვილი.მან წიგნის ღირსებების აღნიშვნასთან ერთად ილაპარაკა საკუთარ პუბლიკაციებზე დავიდ ბააზოვის შესახებ და აკაკი წერეთლიას გამონათქვამებზე ებრაელების შესახებ.

განხილვის დასასრულს სიტყვით გამოვიდა დოქტორი ლილი ბააზოვი. მან დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას,აღნიშნა რომ სურს მუშაობის გაგრძელება წიგნის დასახვეწად და მოუწოდა ქართულოენოვან ებრაულ საზოგადოებას და მათ შთამომავლებს მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს ქართულენოვანი წარმოშობის ებრაელების მიღწევების წარმოჩენაში ინტელექტუალური მოღვაწეობის ყველა სფეროში.დასასრულს მომხსენებელმა დიდი პატივისცემით უპასუხა კითხვებს.

პრეზენტაცია -განხილვა ორ საათზე მეტს გაგრძელდა, მონაწილეებმა შეიძინეს წიგნები, დამსწრე საზოგადოება კმაყოფილების გრძნობით დაიშალა.

პროფესორი მოშე დანიელი

რამდენ ქართველს დაატოვებინეს ისრაელი?

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტისმეთაური გიორგი ტაბატაძე იტყობინება, რომ გასულ 2016 წელს ისრაელის საზღვრის გადალახვის უფლება არ მისცეს ამ ქვეყანაში ჩასულ 3974 საქართველოს მოქალაქეს, 304 მოქალაქე კი დეპორტირებული იქნა. გ. ტაბატაძისავე აზრით მიმდინარე წელს შესამჩნევია საქართველოდან არალეგალური მიგრაციის შემცირება, რის ფონზეც საქართველომ შესაძლოა დასვას შრომითი მიგრაციის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.

— ახლა მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ ისრაელის მხარეს შევთავაზოთ მოლაპარაკების დაწყება შრომითი მიგრანტების თაობაზე. ამგვარი ხელშეკრულების დადება ჩვენს მოქალაქეებს საშუალებას მისცემს ლეგალურად იმუშაონ ისრაელში და ისარგებლონ შესაბამისი სოციალური მექანიზმებით — აცხადებს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი გ. ტაბატაძე.

როგორც უკვე ცნობილია, 27 თებერვალს ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველო შეიტანა არასაშიში ქვეყნების სიაში. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს იმ მოქალაქის საკითხს, რომელიც ისრაელს მოსთხოვს თავშესაფარს, დაუყონებლივ შეისწავლიან და უმალ გამოაძევებენ სახელმწიფოდან.

გასულ წელს ისრაელის სახელმწიფოს თავშესაფარი სთხოვა საქართველოს 3.500 მოქალაქემ, თითქოს მათ საქართველოში პოლიტიკურად სდევნიდნენ.

UNESKO-ს (იუნესკოს) რეზოლუცია და ისრაელის პასუხი

როგორც ცნობილია, იუნესკოში მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც უარყოფილია ისრაელის სუვერენიტეტი ქალაქ იერუსალიმზე. ისრაელი გამოცხადებულია იერუსალიმის ოკუპანტად და მას არა-რა უფლება არა აქვს არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ იერუსალიმზე. ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 22 სახელმწიფომ (ირანი, რუსეთი, ჩინეთი, მალაიზია, მავრიკია, ნიგერია, სენეგალი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბანგლადეში პაკისტანი,ვიეტნამი, ბრაზილია, ნიკარაგუა, ჩადი, ალირი, ეგვიპტე, სუდანი, მაროკო, კატარი, ლიბანი, შვეცია). წინააღმდეგი წავიდა 10 სახელმწიფო (აშშ, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ლიტვა, საბერძნეთი, პარაგვაი, უკრაინა, ტოგო, გერმანია) 22 სახელმწიფომ თავი შეიკავა, სამი სახელმწიფოს წარმომადგენელი კენჭისყრაზე არ გამოცხადდა.

იუნესკოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს რეზოლუცია წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცა.

ამის საპასუხოდ ისრაელის პრემიერ მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ გასცა განკარგულება ისრაელმა კიდევ ერთი მილიონი დოლარით შეამციროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფინანსება..

ისრაელის მთავრობის მეთაურმა განაცხადა:

— თუ იუნესკო არ სცნობს ისრაელს, არც ისრაელი სცნობს ამ ორგანიზაციას.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში ისრაელმა ორი მილიონი დოლარით შეამცირა იუნესკოს დაფინანსება, რისი საფუძველიც გახდა იუნესკოს მიერ მთელი რიგი ანტიისრაელური რეზოლუციების მიღება.

მოსკოვი ჭრის და კერავს

6 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე გამოქვეყნდა შემდეგი ტექსტი: ვადასტურებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებისადმი მხარდაჭერას კონფლიქტების დარეგულირების, მათს შორის, იერუსალიმის პალესტინის მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადების თაობაზე. ამავე დროს აუცილებლობად მივიჩნევთ ამავე კონტექსტში განვაცხადოთ, რომ დასავლეთ იერუსალიმს განვიხილავთ, როგორც ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქს.

ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ, რომ ეს განცხადება არის დასტური რუსეთის პოლიტიკის რადიკალური ცვლილებისა: აქამდე რუსეთი აცხადებდა, იერუსალიმზე საერთაშორისო კონტროლი უნდა დამყარდესო.

რუსეთი, მართლაც თავისებურად ჭრის და კერავს: როგორც დაინახეთ, აპრილის დამდეგს ებრაელობას იერუსალიმის დასავლეთ ნაწილი მაინც დაუთმო, აპრილის ბოლოს კი იუნესკოში ხმა მისცა ისრაელის იერუსალიმის ოკუპანტად გამოცხადებას.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

ე მ ო რ

აჰარონ მდინარაძე

წერია თორის თავში „ემორ“ - და უთხრა ჰაშემმა მოშეს: უთხარი ქოჰენებს, აჰარონის შთამომავლებს: არავინ არ გაუწმინდურდეს გარდაცვლილებთან შეხებით, მხოლოდ ახლო ნათესავებია გამონაკლისი: დედა, მამა, შვილები - ვაჟი და გოგონა, ძმა და მისი და, იმ შემთვევაში თუ ის იყო ქალიშვილი

შემდეგ წერია: და არ დაიგლიჯოს თმები თავიდან, ასევე თორის თავში „კედოშიმ“ - წერია - „გარადცვლილის გამო არ დაიფხაჭნოთ თქვენი ტანი“ და ამის შემდეგ წერია - „იყავით წმინდა, რომ არ შეარცხვინოთ ჰაშემის სახელი“

ისმება კითხვა,რაშია ჰაშემის სახელის შერცხვენა-?

ადამიანი, რომელსაც გარდაეცვალა ახლობელი და ის იგლიჯავს თმას, ან იყენებს რაიმე ტკივილს - მასზე იძახიან ბრძენები, რომ თითქოს მას არ ჯერავს ჰაშემის, თითქოს ის მოიქცა არასამართლიანად, ამიტომ გვიბრძანა ჩვენ თორამ არ მივიყენოთ რაიმე სახის ზიანი ახლობელის გარადაცვალების შემთხვევაში, ჩვენ ისრაელებს გვჯერა გარადაცვალებულების გაცოცხლების, გვჯერა, რომ ყველას გვქავს გამოსწორება, და საბოლოოდ დავამადლიანდებით მომავალ სამყაროზე.

ასევე წერია ამ თემაზე ასევე სხვა თავში - „რეე“ - არ მიიყენოთ ჭრილობა გარადცვლილის გამო“ და ამის შემდეგ წერია, რომ ქოჰენ გადოლი არ იცავს ტრაურს არც ახლო ნათესავების მიმართ, რადგან ის ყველაზე ახლოსაა ჰაშემთან, ის ვალდებულია გაუწმინდურდეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ მან იპოვა გარდაცვლილი და მას არ ჰყავს არავინ დამპატიოსნებელი, მაშ, ინ ეს არის მისთვის სავალდებულო მცნება - და ვალდებულია დააპატიოსმოს მიცვალებული.

ასევე არის თავში ასეთი ფასუკი: „როდესაც დაიბადება ხბო, ცხვარი ან თხა, იქნება შვიდი დღე დედასთან, და მერვე დღიდან დაშვებულია შესაწირად ჰაშემისთვის-ხსნიან კომენტატორები, რომ აქ არის მინიშნება სულის ჩამოსვლაზე ჩვენს სამყაროში: 7 დღე შეეფარდება 70 წლის ცხოვრებას ამ სამყაროში, დედასთან იგულისხმება - თორის და ჰაშემის შეხინის ქვეშ, მერვე დღე - როდესაც ანგელოზი მიხაელი - მიაცილებს მას ზეცაში- მის შესაბამის ადგილამდე.

ჩვენ ეხლა ვართ იმ პერიოდში როდესაც ვსწავლობთ „პირკე ავოთს“ - მამათა დარიგებას, იქ ერთ-ერთ მიშნაში წერია: გახსოვდეს სამი რაღაც და არ შესცოდავ: იცოდე საიდან მოხვედი-? სად მიდიხარ-? და ვის წინაშე უნდა აგო პასუხი სასამართლოზე-?

საიდან მოხვედი-? მყრალი წვეთისგან

სად მიდიხარ-? სადაც არის მიწა და ჭიები

და ვის წინაშე უნდა აგო პასუხი სასამართლოზე-? მეფეთა მეფესთან კურთხელია მისი სახელი

ეს დივრე თორა იყოს ლეყილური ნიშმათ

რავ იოსეფ ბენ იოსეფ ჰანოლად მინ რახელ დავიდაშვილი,

რომელმაც ზეპირად იცოდა და ასრულებდა ცხოვრებაში ყველაფერს რაც წერია „პირკე ავოთში“ და რომელიც გარდაიცვალა შაბათს, 26 ნისანს-ფარაშა შემინი- ანუ მერვე დღეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და დასადგურდეს მისი ნეშამა გან ყედენში და ილოცოს მაშიახის მობრძანებაზე და მშვიდობაზე ჩვენს ჯამაათში და მთელ მსოფლიოში

შაბათ შალომ!

ნაპოვნია 1500 წლის ბიბლია

ეს ტექსტი, რომელიც გახლავთ ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფის — ბარნაბას სახარება, დაწერილია არამეულის ძველ დიალექტზე — ასირიულ ენაზე. ბარნაბა პავლე მოციქულთან ერთად მოგზაურობდა. გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ტექსტის ასაკი 1500-2000 წელია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია, იგი მართლაც, ქრისტეს ეპოქაში იყოს დაწერილი.

ამჟამად ეს ბიბლია ანკარის მუზეუმში ინახება.

მიუხედავად გასაიდუმლოებული წარმომავლობისა, ახალი აღთქმის ამ ვარიანტმა ვატიკანში დიდი მღელვარება გამოიწვია — მასში ღია ტექსტით არის უარყოფილი ის, რასაც ეკლესია ჩააგონებს სამწყსოს: ბარნაბას ვერსიაში არის რამდენიმე განსხვავება ახალი აღთქმის კლასიკური ტექსტისაგან. ბარნაბასეული ვერსია ამტკიცებს, რომ ქრისტე არ გახლდათ ძე ღვთისა, ის იყოო წინასწარმეტყველი, იესო ჯვარზე არ გაუკრავთ — იგი ცოცხლად აღევლინაო ზეცაში,მის მაგიერ კი ჯვარზე იუდა ისკარიოტელი გაეკრაო. ფაქტია, რომ ვატიკანი ოფიციალურად აღიარებს: 325 წელს ევანგელიებს კენჭი ეყარათ და ზოგიერთი მათგანი ცენზურამ უარყო. შესაძლოა, თურქეთში ნაპოვნი ბარნაბას ევანგელიე ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც 325 წელს ცენზურამ უარყო.

თორის 28 გრაგნილის თაობაზე

ამერიკული გამოცემა Live Science იტყობინება, რომ ბიბლიურ სიძველეთა ამერიკელი მეცნიერების ჯგუფი გადათარგმნის და გამოაქვეყნებს აქამდე უცნობ ყუმრანის ხელნაწერებს. პორტალის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინახება მკვდარი ზღვის არეალში ნაპოვნი თორის 28 გრაგნილი. ეს გრაგნილები ამერიკელმა სპეციალისტებმა ისრაელში შეისყიდეს. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს გრაგნილები 2000 წლის წინათ გახლავთ დაწერილი.

უძველესი ტექსტების შესწავლას შეუდგებიან აზუსის წყნარი ოკეანის უნივერსიტეტისა და ქალაქ ფორტ-უერტის ბაპტისტური სემინარიის ბიბლიის სპეციალისტები. ტექსტი წლის განმავლობაში გამოქვეყნდება.

ძველებრაულ და არამეულ ენებზე დაწერილი მკვდარი ზღვის არეალის თორის გრაგნილები არქეოლოგებმა 1947 წელს აღმოაჩინეს. ამ მანუსკრიპტთა უმეტესობა მეორე ტაძრის გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება — ჩვენს ერამდე 250 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 68 წლამდე.

დიდი აღმოჩენა

ეგვიპტის სიძველეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წყალქვეშ მომუშავე არქეოლოგებმა წითელი ზღვის ფსკერზე ერთობ მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინეს: ნაპირიდან კილომეტრნახევრის მანძილზე ქალაქ რას რარიბის სიახლოვეს, ზღვის ფსკერზე ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნის ფარაონ ეხნატონის არმიის ნარჩენები — 200 კვადრატული მეტრის ფართობზე ნაპოვნია 400 ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები, ფარაონის ეპოქის დიდძალი შეიარაღება საბრძოლო ეტლების შემადგენელი ნაწილებიც კი.

სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, თუ საძიებო არეალს გავაფართოვებთ, კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანის ჩონჩხის ნაწილებს და ფარაონ ეხნატონის არმიის შეიარაღების სწორედ იმ პერიოდის ნაშთებს ვიპოვით, რომელიც ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის ეპოქაში იხმარებოდაო.

კაიროს უნივერსიტეტის პროფესორი აბედ ელ მუჰამედი არ გამორიცხავს, რომ მისი გუნდის აღმოჩენა ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლას ადასტურებს.

სასჯელის მოხდა დაიწყო...

ისრაელის აშქენაზ ებრაელთა მთავარმა რაბინმა იონა მეცგერმა 1 მაისს რამლეს ციხეში „მაასიაგუ“ სასჯელის მოხდა დაიწყო. როგორც ადრე პორტალი Izrus იუწყებოდა, იონა მეცგერი ცნობილი იქნა დამნაშავედ ქრთამის აღების, თაღლითობისა და გადასახადებისაგან თავის არიდების გამო. 30 აპრილს ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო იონა მეცგერის — „ოლიგარქთა რაბინის“ აპელაცია, სასჯელის ვადა შეუმცირა და გადაუწყვიტა 3,5 წლით პატიმრობა და 5მილიონი შეკელის გადახდა.

ბაბი იარი

84 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო. ე. ევტუშენკომ პირველად საბჭოთა პოეზიაში აღიმაღლა ხმა ებრაელების დასაცავად — საბჭოთა პროპაგანდა ფარავდა ებრაელთა ტრაგედიას მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ბაბი იარზე ძეგლი არა ჩანს,
და ღრანტეებში ჩაგუდულ ღარღილს
კლდე დასწოლია აკლდამასავით,
მაგრამ ისეთი - ხსენებად არ ღირს...
მე მეშინია: ო, სადღეისოდ ისე ძველია ჩემი ასაკი,
ვით ხნოვანება ებრაელ ხალხის.
თითქოს მართლა ვარ ძე ისრაელის -
სჯულის ერთგული და მიმდევარი, -
წინ მიმიძღვება კეთილი შემწე
და, როგორც ძველი იუდეველი,
დავეხეტები ეგვი პტის გზებზე.
ხან მეჩვენება - დრეიფუსი ვარ,
და ჩემი მოწმე და მაბეზღარი
მეშჩანობაა... გამოვაღწევ? - ღმერთმა ინებოს!..
ჯერ კი უტიფრად მახვევია ბრბო საზიზღარი -
ასე უღმერთოდ თავლაფდასხმულს და შეგინებულს.
მე შენ გეტყვი და, ბედისწერა ამას მაკმარებს,
ახია ჩემზე: ღირსი ვარ, ღირსი!
აშრიალებენ მანდილოსნები
ბრიუსელური კაბის მაქმანებს
და ქოლგის წვეტებს მირტყამენ ცხვირში.
თითქოს წამიჭერს ყელში თოკი და
კვლავ იმდროინდელ ცრემლებს მოგიტან,
- ო, ისტორიავ, გეპატიოს ეს უმსგავსობა:
დღემდე მომტირის სისხლიანი ბელოსტოკიდან
ბედდავსებული ჩემი ბავშვობა...
იელვებს დანა, დახლიდარი მყისვე იდროებს,
ვუყურებ სისხლის უღმერთო ლივლივს
და ჟრუანტელი ძარღვებში მივლის,
არყის ორთქლი ნთქავს გალექებულ სამიკიტნოებს,
ყარს ოხშივარი ხახვის და ნივრის...
და ისევ ბური, ქარბორია და ბურუსეთი
- ლოთბაზარა ბრბო მტვრიან ფურგონს მოახრიგინებს:
„- დასცხე ურიებს,
- დაიხსენი დედა-რუსეთი!“
– ღმუის ვიღაც და დედიჩემის მანდილს მიგინებს....
ეს მე ვარ, მე ვარ - ანა ფრანკი: მოგძახი, მოდი!..
ვარ გამჭვირვალე და მოლივლივე,
როგორც აპრილში ალუბლის ტოტი...
დიახ, ეს მე ვარ, და მე მიყვარს: - წყალწყალა ფრაზებს
სჯობს სიყვარულის ღელვა და შფოთი.
ბნელ საკანში ვართ, - ატუზულა ბინდი კარებში,
შევყურებთ ძრწოლვით და შეცბუნებით,
ველარც ცით ვტკბებით და ვერც ბუნებით...
მხოლოდ ალერსი შეგვიძლია... თუმცა ალერსი
ცოტას არ ნიშნავს - დამერწმუნებით.
რაო?! - ხმა ისმის? - არა უშავს - დარაბებია:
მომხვიე ხელი! - უკვე დარბაზებს
აკრთობს აპრილის მზე მობარბაცე...
კარებს გვიმტვრევენ? - არაფერია:
ალბათ ყინული დაცურდა ტბაზე...
... ბაბი იარზე შრიალებს მოლი
და - ფლატეებით გადაფერდილი -
ხეები დგანან უთქმელი რისხვით
და თითქოს ვამჩნევ - წუთი-წუთზე როგორ ვბერდები
იმ დროის ელდით, - ტკივილების იმ წელთაღრიცხვით.
მეც ტკივილი ვარ, გაქვავებულ კივილად ვდგავარ -
ათასეულთა ათასი წყევლით
და შეჩვენებით გულდაკოდილი:
გმინვა ვარ, გმინვა, განწირული ბავშვების ხმა ვარ
და დახვრეტილი ბებრის ხროტინი.
გადუვლის ფერფლი დამწვარ კერიებს
და ლოცვასავით აღუვლენს მერმისს,
რომ მაშინდელი ცეცხლის გენიებს
კვლავ გულისცემა მოიხსენიებს
და შეტოკება ყოველი ნერვის...
დე, მოიშალოს ისტორიამ უღვთო ბრალდება,
იქუხოს „ინტერნაციონალმა“,
ხმამ შეარყიოს ცა და ზენიტი,
როცა ამქვეყნად დასამარდება
უკანასკნელი ანტისემიტი...

თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

„ფრანგები“ ისრაელს სტოვებენ

ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც საფრანგეთში გახშირდა ტერორისტული აქტები, საფრანგეთის ებრაელობამ ისრაელს მიაშურა — ისრაელში ჩავიდა 450 ათასი ებრაელი საფრანგეთიდან. ისინი დასახლდნენ აშდოდში, ნეთანიაში, თელ-ავივში, რაანანაში. ახლა კი ირკვევა, რომ საფრანგეთიდან ჩამოსულ ებრაელთა მესამედი ისრაელს სტოვებს და საფრანგეთს უბრუნდება.

საფრანგეთის ებრაელთა უკან დაბრუნების მიზეზად კლასიკური პრობლემები სახელდება: ბინების ძალიან მაღალი ფასები, სპეციალობის მიხედვით სამსახურის პოვნის სირთულე და მოსახლეობასთან მენტალური სხვაობა. სოციოლოგიის პროფესორის შმუელ ტრიგანოს აზრით „ფრანგების“ისრაელში წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ინტელექტუალურ განზომილებაში ძევს“. ტრიგანოს მონაცემებით, საფრანგეთში ბრუნდებიან ის ფრანგი ებრაელებიც კი, რომლებმაც იქ ყველაფერი, ბინებიც, გაჰყიდეს, „ისრაელში წარუმატებლობის თაობაზე საუბარი პოტენციალურ რეპატრიანტებშიც არ წყდება, რაც მათ უფროდაუფრო აშორებთ ისრაელს“. პროფესორი ტრიგანო საფრანგეთიდან ალიის „ჩავარდნის“ რამდენიმე მიზეზს გამოჰყოფს: უპირველესი კი ის გახლავთ, რომ ისრაელში კარგად ვერ შეაფასეს,თუ რაოდენ უნიკალური ხასიათისაა ეს რეპატრიაცია — ესენი არ არიან ქვეყნიდან გამოქცეული ბოგანოები, ეს არის საშუალო კლასი, რომელიც ისრაელს მოეშურება განვითარებული, მაღალცივილიზებული ქვეყნიდან და გააჩნია დიდი ინტელექტუალური წარსული“ — ამბობს პროფესორი, იგი იმასაც დასძენს, რომ საფრანგეთის ებრაელები სრულიად სხვა სამყაროდან არიან — ფრანგული სამყაროდან, რომელიც განსხვავდება ანგლოსაქსონური მენტალიტეტისაგან. ეს უკანასკნელი კი უფრო ახლოა ისრაელელთა სააზროვნო სისტემასთან, ვიდრე ფრანგული.

ღუტი (აბრამ) მიხელაშვილი

ისრაელში გარდაიცვალა ჩვენი ბავშვობის მეგობარი ღუტი(აბრამ) მიხელაშვილი — კაცი მართალი, პატიოსნებითა და ღირსებით შემკული.

ჩვენი სიჭაბუკის წლებში ღუტი მიხელაშვილი სენაკის ებრაელი ახალგაზრდობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. ებრაული მოთმინებით, მუყაითი შრომით აშენებდა თავის მომავალს. ოჯახი, ბეით ქნესეთი და შრომა — აი, რა იყო მისი მთავარი ორიენტირები. ჩამოყალიბდა კიდეც იმ ადამიანად, რომელიც თავისი არსებობით, შრომით ჯამაათს ამშვენებდა და ძალას მატებდა.

ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაშურა ისრაელს — როგორც ლოცვისა და ღვთის სადიდებელ კერას, ერთგულ და მეგობარ მეუღლესთან ერთად აღზარდა ჩინებული შვილები, იშრომა, იღვაწა და 80 წლის შესრულებისთანავე, ისევე უხმაუროდ გაეცალა წუთისოფელს, როგორც შრომობდა და ცხოვრობდა. ცხოვრობდა კი უმწიკვლო კაცის ცხოვრებით. მასზე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ეს იყო კაცი, რომელსაც აუგი სიტყვა არავისზე უთქვამს, არც არვისთვის უსურვებია აუგი. ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა, ასევე აღზარდა შვილები, ამ განძით გადაინაცვლა სხვა სამყაროში, — გვჯერა, რომ უკეთეს სამყაროში.

შოთა სეფიაშვილი, ლოვა ხუბელაშვილი, გურამ მეგრელიშვილი,
რეზო არონაშვილი, გურამ და მალხაზ ბათიაშვილები.

რით ვანუგეშო მისი ცოლი ძაძით მოსილი
ოჯახის ბურჯი და მეუღლის გვერდში მდგომელი
მათ ნახევარი საუკუნე ერთადა განვლეს
ქარტეხილებიც ბევრი ნახეს, თუმც გადალახეს.

რა ვუთხრა შენს ვაჟს, შენს ქალიშვილს ცრემლებს რომ ღვრიან,
შენს შვილიშვილებს სევდა-დარდი რითი გავულღო,
შენს ძმას იონას — ხუთ ძმათაგან ეულ რომ დარჩა,
შენს ირგვლივ მყოფებს — სიძეს, თუ რძალს, მითხარ რა ვუყო.
.....
მენუხა შენს სულს, ჩვენო ძმაო, ჩვენგან წასულო!

ირაკლი კოკუაშვილი
29.04. 2017

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003